საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 1 თებერვალი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] ფასი: 1 თვით 12 მანეთი [illegible] ნომერი [illegible] 50 კაპ. განცხადებების ფასი: [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადებები 20 მან. საქმიანი განცხადებები უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დღის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერებს რედაქცია არ ინახავს, [illegible] კანტორაში.

[illegible] თფილისი, [illegible] ქუჩა № 199 [illegible] „ერთობის“ რედაქცია [illegible] 10—12 საათამდე [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 25 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 25

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მსახიობი ქართულ თეატრისა და კავშირის წევრი

**გედეონ გედევანოვი** (მირაღიანი)

პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 1 თებერვალს, განსვენებულის ბინაზე ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 43, საღამოს 5 ნახ. საათზე. დაკრძალვა კვირას, 2 თებერვალს ხოჯივანქის სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი ვორონცოვის ხიდთან, ღვთის მშობლის ეკლესიაში.

მეღვიდან დაჩაგრული მეუღლე მელიტონ მიხეილის ძე სოსელია და შვილი მისი ტატიანა მელიტონის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 თებერვალს ქ. თფილისში ნაძალადევის იბერიის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში განსვენებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

**მარგარიტა ივანეს ასული სოსელიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ დღის 12 ს. (3—2)

გულდათუთქული მშობლები: ბაბო მიხეილის ასული და პავლე გრიგორის ძე მეტრეველები, და გუგუცა, დიდედები: ნატალია სოლომონის ასული მეტრეველისა, ელისაბედ პავლეს ასული ვარძიელისა, ბიძები: პეტრე გრიგორის ძე მეტრეველი, იაკობი, პეტრე და იოსებ ვარძიელები, მამიდა მარიამ გრიგორის ასული ქინქლაძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი

**ი. რ. ა. ს** (ირაკლის)

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღით შაბათს, 1 თებერვალს, ქ. ყვირილაში, წმ. ნინოს ეკლესიაზე.

20 იანვარს (ძვ. სტ.) ოეკლათის მამათა მონასტერში და ქ. თფილისში ანჩისხატის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**დესპინე (ანასტასიას) გიჟიას ასულის კაჭარავას**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე სპირიდონ კაჭარავა, სიძე ალექსი ალექსანდრეს ძე ჩ ჩუ, შვილები: ლიზა სპირიდონის ასული ჩიჩუასი, გიორგი, მარგარიტა, ნინა, ანასტასია, ვასილი, პელაგია

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

### ხმოსანთა ამორჩევის გამო.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები მოხდება 1919 წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

1 კომისარიატში:

1 საარჩევ. უბანი. ქართულ უნივერსიტეტის შენობაში;
2 " " საზაფხულო თეატრში;
3 " " ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღის ქუჩა, სახლი მაჩაბლისა, № 52.
4 " " პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში;
5 " " სამიწადმზომელო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე;
6 " " მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიევის ქ.

2 კომისარიატში:

7 " " მინიატიურის თეატრში, მელიქ აზარიანცის ს., ვერის დაღმართზე;
8 " " არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.;
9 " " ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახ., სასამართლოს ქ.;
10 " " თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში;

3 კომისარიატში:

11 " " პირველ ქალთა გიმნაზიაში;
12 " " სამოქალაქო სასწავლებელში, სახ. აფრიკიანისა;
13 " " სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა;

4 კომისარიატში:

14 " " სახელოსნო გამგეობაში;
15 " " მანთაშევის ქარვასლაში, სომხების ბაზარი, № 62;
16 " " სომხების საქველმოქ. საზოგადოებას დარბაზში, აბას აბადის მ.;

5 კომისარიატში:

17 " " მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზე;
18 " " პუშკინის სამოქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზე;
19 " " ტილლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქუჩაზე;

6 კომისარიატში:

20 " " ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზე;
21 " " ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში;
22 " " ძმათა ტ.-აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთის ქ.;
23 " " სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ № 46;
24 " " მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზე;
25 " " ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება;

7 კომისარიატში.

26 " " არაკსიანის თეატრში;
27 " " ავლაბრის გიმნაზიაში;
28 " " ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხივის შეს. ს. მანუკოვისა № 57;
29 " " მარინეს საეკლესიო შკოლაში;
30 " " ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა;

8 კომისარიატში.

31 " " ალტმანის სახლში, კუთხე პრიიუტსკოვის და კახეთის ქუჩა;
32 " " მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დეხიმონოვის მოედ.
33 " " მე 4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში;
34 " " პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქუჩა;

9 კომისარიატში.

35 " " პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29;
36 " " მუშათა კლუბში, ერთობის ფუძანი;
37 " " მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა;
38 " " კატოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ;
39 " " სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10 კომისარიატში.

40 " " ავჭალის აუდიტორიაში;
41 " " ინფენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ცოგზლის ქუჩა.
42 " " 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
43 " " ზუბალაშვილის სახალხო სახლში, კიროჩნი ქუჩაზედ;

11 კომისარიატში.

44 " " საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკის ქუჩებისა;
45 " " სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩ, ს. ბოტტესი;
46 " " ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე;
47 " " სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის.

12 კომისარიატში.

48 " " რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში, შერემეტევის ქუჩის მხრით;
49 " " რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში;
50 " " ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა;
51 " " ავჭალის წყალსადენი.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ სიები საბოლოოდ შედგენილია და მათი განხილვა მსურველთ შეუძლიათ 30, 31 იანვარს და 1 თებერვალს ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში (სომხის ბაზარი № 62, მანთაშევის ქარვასლა).

ქალაქის გამგეობა.

3-2

## სოც.-დემოკრატია და ხალხი

ბურჟუაზიის იდეოლოგებს ერთგვარი კრეტინიზმი ახასიათებს: ისინი ვერ გაშორებიან საკუთარ კლასის ფსიხოლოგიას და ამიტომ სოციალდემოკრატიასაც ბურჟუაზიულ იდეოლოგიის თვალსაზრისით ზომავენ. ევროპაში და ამერიკაში, არისტოკრატია, რომელიც მემამულეთა ინტერესებს იცავდა, ბურჟუაზიამ დაამარცხა და ცხოვრებას ჩამოდგა სათავეში; მაგრამ თითონ იმყო საკუთარ კლასის სამსახური და მთავრობაც ისე მოაწყო, როგორც ამას მისი ინტერესი მოითხოვდა.

ბურჟუაზიის ინტერესი კი, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაც შეიძლება, მეტი მოგება ნახოს წარმოებაში, მშრომელის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულების დაპატრონებით.

ამ ნაირათ ბურჟუაზიასა და მშრომელ ხალხს შორის სრული წინააღმდეგობაა: პირველი ცდილობს კაპიტალის საშუალებით, რომელიც მის ხელთ არის, ეკონომიურ მონობაში იყოლიოს მუშათა კლასი, ხოლო მეორე იბრძვის მონობის უღლის წინააღმდეგ.

ყველაზე უფრო მწვავეთ ამ მონობის უღელს პროლეტარიატი გრძნობს: პროლეტარიატი სამრეწველო ცენტრებშია თავმოყრილი, მას მეტი საშუალება აქვს გათვითცნობიერებისათვის, თითონ მისი შრომის პირობები ისეთია, რომ ადვილათ ეცნობა იმ მექანიზმს, რომლის საშუალებით მას ყვლეფენ. ამიტომ არის, რომ პროლეტარიატი ყველაზე უწინ ილვიძებს და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ ირაზმება.

სულ სხვა პირობებშია ჩაყენებული მშრომელი გლეხკაცობა: მას ერთის მხრით მემამულეთა ბატონობა უხუთავს სულს, ხოლო მეორე მხრით ბურჟუაზია. და გაყვლეფაშევიწროების მხრით, თუ გნებავთ, გლეხობა კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვინემ პროლეტარიატი, მაგრამ მისი ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ადვილათ ვერ კავშირდება და ვერც თავის მტერ-მოყვარეს ხედავს ისე ნათლად, როგორც პროლეტარიატი, ასეთსავე მდგომარეობაში არიან საერთოდ წვრილი მოქალაქეები, მდაბიო ხალხი.

არსებითად კი მშრომელ გლეხობის და საერთოდ წვრილი ხალხის ინტერესები იგივეა, რაც პროლეტარიატის ინტერესები: არსებული ეკონომიური ურთიერთობა ერთნაირათ უხუთავს სულს, როგორც პროლეტარიატს, ისე გლეხკაცობას და ქალაქის მდაბიო მცხოვრებთ და ამიტომ მათი ინტერესია საერთო ძალღონით გაუმკლავდნენ თავის მყვლეფელებს. მქონებელთა კლასი აშკარათ ებრძვის პროლეტარიატს და მის მონათესავე ჯგუფებს, ასე რომ დღევანდელი საზოგადოება ორ მთავარ ჯგუფად არის გაყოფილი.

პროლეტარიატის პარტიას, სოციალ დემოკრატიას სწამს, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება ყველაფრის მოსპობა, როცა ბურჟუაზია დაჰკარგავს ბატონობის წყაროს—კაპიტალისტთა ცხოვრება სოციალისტურათ გარდაიქმნება. ხოლო სოციალისტური წყობილება არ იქნება და ვერც იქნება პროლეტარიატის ბატონობა, რადგან ის მიმართულია ყოველივე ამ ბატონობის წინააღმდეგ. დღეს კი პროლეტარიატი და მისი პარტია იბრძვის რეფორმებისათვის, რომელიც ერთგვარათ საჭიროა და სასარგებლოა მთელი ხალხისათვის, დემოკრატიისათვის.

ამიტომ სოციალ დემ., თუმცა პროლეტარიატის პარტიაა, მაგრამ მისი მოღვაწეობა მიმართულია მთელი ხალხის სამსახურისაკენ.

ამას კარგათ ხედავდი და დღესაც ხედავს ჩვენი ხალხი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მტრების ცილისწამებას და სოციალდემოკრატიას არ მოშორებია.

ჩვენებური ნაციონალ-დემოკრატები კი არწმუნებენ ხალს, რომ ეროვნული დემოკრატია ერთად ერთი სახელმწიფოებრივი პარტიაა, რომელიც წინააღმდეგია ყოველგვარ კლასობრივ ეგოისტური პოლიტიკისა. ამას ისინი პირდაპირ აცხადებენ თავის პარტიულ ორგანო „საქართველო“-ში. რაში გამოიხატა მათი ზეკლასიური პოლიტიკა: ისინი მოითხოვენ, რომ მემამულეებს ჩამორთმეულ მიწებში ფასი მიეცეს, მოითხოვენ ვაჭრებისათვის შეღავათების მიცემას, ებრძვიან სახალხო გვარდიას, რომელიც ხალხისგან არის გამოსული და ხალხსავე ემსახურება, მოითხოვენ სომხების რუსების და საერთოდ სხვა ეროვნებათა დევნას, რომ ქართველ ბურჟუაზიას მეტოქე აღარ ყავდეს ბაზარზე...

და ამაოდ მოელიან ჩვენი ეროვნული დემოკრატები სოციალდემოკრატიის გაქრობას და თავისი პარტიის გაძლიერებას. მათ ანგარიში ეშლებათ, როცა სენაკის ქალაქის თვითმართველობის არჩევნებში უმრავლესობის გაყვანას მომავალ გამარჯვების მაჩვენებლათ თვლიან.

მართალია აქ მხოლოდ ერთი: სოციალდემოკრატია ერთად ერთი პარტია იყო ჩვენში, რომელიც მედგრათ ებრძოდა ყოველგვარ უსამართლობას, მისი ბრძოლის ნაყოფია ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც დღეს განმტკიცებულია ჩვენში. და სრულიად ბუნებრივია ის, რომ ჩვენ ჩამოგვშორდნენ ისინი, რომელნიც ჩვენი მოკავშირენი კი არ იყვნენ, არამედ თავს აფარებდნენ ჩვენი კალთის ქვეშ —ესენია ვაჭრები და მრეწველები. მათ ბუნებრივათ იპოვეს თავისი დამცველები ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში, რაც სულაც არ არის ეროვნულ-დემოკრატიის გამარჯვება, არამედ ნაყოფი იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი პარტია ეწეოდა. ეჭვი არ არის ეროვნული დემოკრატია წინანდელთან შედარებით გაიზრდება რიცხვით, რადგან ის ელემენტები, რომელნიც ჩვენ პარტიას აფარებდნენ თავს თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს, დღეს თავს მოიყრიან ეროვნულ დემოკრატიაში და ჩვენ გამოგვიცხადებენ ბრძოლას. მაგრამ, რამდენიც არ უნდა არწმუნონ ნაციონალ-დემოკრატებმა ხალხი თავის ზეკლასობრიობაში, მშრომელი ხალხი პროლეტარიატი, გლეხობა და მდაბიო მოქალაქენი მათ არ გაყვებიან. პირიქით, ისინი კიდევ უფრო მჭიდროთ შეკრავენ კავშირს და სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ მედგრათ შეუტევენ საერთო მტერს.

ს.-დემოკრატია მთელი დემოკრატიის პარტიაა, ყველა მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა ნუგეშია.

და საქართველოს დემოკრატია ამას ერთი წუთითაც არ დაივიწყებს. ეროვნულ დემოკრატებს კი ხმას მისცემენ მხოლოდ სპეკულიანტი ვაჭრები, კაცი ჭამია ნაციონალისტი მოხელეები და ის გულუბრყვილო ან გაპოროტებული მემამულეები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან მამულების უფასოდ ჩამორთმევას.

მით უკეთესი ჩვენთვის: მშრომელი ხალხი კიდევ უფრო ნათლად დაინახავს, თუ რამდენად ზეკლასიური ბრძანდება ეროვნული დემოკრატია.

**მოქალაქენო!**

**ქართველი ნაციონალ-დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ.**

**ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.**

**ხმა მიეცით სოც.-დემოკრატიის სიას № 1.**

## დაშნაკელები

ჩვენ ვიცით დაშნაკელების ერთი თვისება. ისინი თავის დაპირებას არასოდეს არ ასრულებენ. მათი პირი მუდამ სიცრუეს წარმოსთქვამს, მათი გულში ბოროტება და მტრობა თესავა. სომხეთის მთავრობის თავხედური გამოლაშქრების წინ—თფილისელი სომხური გაზეთები ლტოლვილების გარშემო ერთ აურზაურს ატეხდნენ, რომ საზოგადოებრივი აზრი შეექმნათ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დღესაც „ჰარაჩი“, რომელიც თავის თავს საქართველოს სომეხ დაშნაკელების ორგანოთ უწოდებს, ესლიან წერილებს ათავსებს საქართველოს წინააღმდეგ და სწორედ ლტოლვილების საკითხის გარშემო. ლტოლვილებს შიმშილი მოელის სომხეთში, ეს ფაქტია. სომხეთს არ შეუძლია ლტოლვილებზე იზრუნოს, ის ზრუნავს ახლა იმაზე, მეზობლებთან სისხლის ღვრის დაწყებაზე, ის მუდამ ფიქრობს მეზობლების დამხობაზე და არასოდეს არ ისახავს მიზნათ მათთან რაიმე მეგობრულ კავშირის დაჭერას და დადებულ ხელშეკრულობის ასრულებას. იგი ასე ამართლებს სომხის მთავრობის მუხანათურ, დამაქცევარ პოლიტიკას:

„ჩვენი ხალხი ახლაც იხოცება შიმშილით და სიცივით, ე. ი. იმ ეთი მტრებისაგან, რომელნიც უფრო საშინელია, ვინემ ოსმალთა ბრბოები. ეს კრიტიკული მდგომარეობა შედეგია იმ მძიმე, განსაკუთრებული პირობების, რომელშიაც იმყოფება სომხეთი. პირდაპირი მიზეზი სომხეთის მცხოვრებთა შიმშილობისა და ამოწყვეტისა დღეს არის ის არანორმალური მდგომარეობა, რომელშიაც ჩააყენეს სომხეთი მისმა მეზობელმა „დემოკრატიულმა“ რესპუბლიკებმა. დღეს სომხეთი ფაქტიურათ გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკათ, მას ყოველ მხრით, ასე ვთქვათ, ალყა აქვს შემორტყმული **ხმელეთით**. მეზობელი რესპუბლიკები შემოერტყმნენ სომხეთს რკინის მომაკვდინებელ სალტესავით გარს და ნელი სიკვდილი მიუსაჯეს მას.

სომხის ხალხი ახლა ძალისგან დაიცალა, კვდება უპურობით, უშეშობით, უწამლობით, საარსებო საგნების უქონლობით და „დემოკრატიული“ და თვით „ინტერ-ნაციონალური“ მეზობლებმაც კი გადასწყვიტეს არაფერი არ მისცენ ამ ხალხს საერთო სახელმწიფოებრივი ქონებიდანაც კი. კიდევ მეტი. ამ მეზობლებმა გადასწყვიტეს არ გაუშვან თავის ტერიტორიაზე არაფერი—არც ერთი გირვანქა პური, შაქარი, ჩაი, ნავთი და სხვ. სომხეთისათვის. მათ სადამოქნო ომი გამოუცხადეს სომხეთს და დაიპყრეს რა ყველა მისასვლელი და მისატანი გზები, პირდაპირ ახრჩობენ ამ ხალხს.

აი ერთი მაგალითი ამ „დემოკრატიული“ სადამოქნო ბრძოლის. ლტოლვილ სომეხს, რომელიც აქ მთელი თვეები ცხოვრობდა და შეიძინა საკუთრება და ქონება, საზამთრო სურსათი, და ახლა ბრუნდება სომხეთში, ნება ეძლევა წაიღოს თავისთან მხოლოდ: 1 ნახევარი გირვანქა შაქარი, 5 გირვანქა პური, და 2 გირვანქა ფქვილი თითო სულზე..

ეს არა ნორმალური, არა ადამიანური მდგომარეობა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქნეს თავიდან აშორებული. **აუცილებელია გამოვიყვანოთ სომხეთი ამ საკონცენტრაციო ბანაკის მდგომარეობიდან**, ამ სიკვდილის რკალიდან, რომელიც მას არტყია“ (ხაზი ავტორისაა).

# დღეს

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენ. მაზნიაშვილი.

— —

მოხალისეთა არმიის სამოქმედო ტერიტორიაზე საყოველთაო მობილიზაციით გამოყავთ ჯარში საქართველოს მოქალაქენიც.

— —

ინგლისში ჯარის დემობილიზაცია საჩქაროდ და წესიერათ მიმდინარეობს. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დღიურათ 35 ათას კაცს ანთავისუფლებდენ.

———

ამერიკის საოკუპაციო ჯარის რიცხვი ნახევარი მილიონი დარჩება.

———

ვილჰელმსჰაფენში სპარტაკელთა მოძრაობა მთავრობის ჯარმა ჩააქრო. დატუსაღებულია 500 და მოკლულია 7 სპარტაკელი.

———

ბალშევიკების ცნობით პოლტავა საბჭოთა ჯარმა დაიკავა. უკრაინაში ანარქია ძლიერდება.

---

რა საშუალებაა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რა გზით უნდა იმოქმედოს სომხეთმა—ამაზე გაზეთი არას ამბობს.

მაგრამ ჩვენ ვიცით ერთი რამ: თფილისის დაშნაკელები კვლავ იწყებენ იმ ტონით წერას, როგორიც მათ ჰქონდათ სომხეთის თავდასხმის წინ. ისინი კვლავ ამზადებენ იდეურ ნიადაგს ჰეროიზის და ანდრანიკების ავანტიურებისთვის. ჩვენ სერიოზულად ვაქცევთ ამ გარემოებას მთავრობის ყურადღებას. დღეს „სახალხო საქმეში“ მოთავსებულია წერილი, საიდანაც სჩანს, რომ ბორჩალოს ამბების სულის ჩამდგმელი იყო თფილისის ორგანიზაცია დაშნაკელებისა. და მათი დღევანდელი მოქმედებაც, ცხადია, გზის ჩვენებაა—სომხეთის მთავრობისათვის. ასეთია ჩვენი ღრმა რწმენა და გვინდა წინდაწინვე გავაფრთხილოთ, როგორც მთავრობა ისე საქართველოს დემოკრატია, განსაკუთრებით სომხის დემოკრატია, რომლის სახელითაც ბ. დაშნაკელები ჩადიან ამდენ უმსგავსოებას.

არსებითად ამ საკითხებს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. ახლა კი აღვნიშნავთ ერთს: წერილიდან ცხადია, რომ დაშნაკელები არ აპირებენ დემოკრატიულ გზაზე დადგომას საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ ასეთი გზა აერჩიათ, ისინი ამას დაასახელებდნენ კიდეც, მოლაპარაკება, კონფერენცია, სადაო საკითხების გამორკვევა—ყოველივე ეს შეიძლება მოლაპარაკებით. მაგრამ სომხის ხელმძღვანელთა და მათი პოლიტიკის გამძღოლთ თფილისის დაშნაკელებს არ სურთ გზა მშვიდობიანი, მათ სისხლიანი გზა უყვართ და სომხის დემოკრატიას მივმართავთ ჩვენ ამ წერილით, რომ მან მეტი ყურადღება გამოიჩინოს თავის ბედისა და საერთოდ მთელი დემოკრატიის ბედისადმი.

დაშნაკელები მხოლოდ სარგებლობენ ხალხის გაჭირვებით თავის ბოროტი მიზნისათვის და არ სურთ მისი ნამდვილი დახმარება. დემოკრატიამ უნდა აიძულოს იგინი ეს ბოროტი ზრახვანი დააგდოს... სხვა ხსნა არ არის!

მოქალაქენო!

დაშნაკცუტიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლიუციას.

არც ერთი ხმა დაშნაკცუტიუნის პარტიას.

ყველა ხმა რევოლიუციისა და დემოკრატიის მეხვეურს სოციალდემოკრატიულ პარტიას № 1.

## უკანასკნელი ცნობები

ფოთი. ყუბანის ოლქში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. ვალდებულად ხდიან ქართველებს გამოცხადდენ ჯარში. ამაზე ნოვოროსიის ჩვენმა კონსულმა პროტესტი განუცხადა ეკატერინოდარში დენიკინის მთავრობას. პასუხად მიიღო, რომ ამ ჟამად ამაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. ამის შემდეგ კონსულმა მიმართა ინგლისის მისიას, რომ გავლენა მოახდინოს გენ. დენიკინზე. ინგლისის მისიამ ამ საკითხის გადაჭრა ვერ შესძლო და შეეკითხა თავის უმაღლეს მთავრობას. სანამ პასუხი მოვიდოდეს, საქართველოს ყველა მოქალაქენი, რომელნიც მოხალისეთა ჯარის მოქმედების ტერიტორიაზე მოხვდებიან, გაყვანილი იქნებიან ჯარში. საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

დ. ქებაძე.

———

ბათუმი. 29 იანვარი. შესდგა ბათუმის რუსთა კრება. დაესწრო 250 კაცი. აირჩიეს ეროვნული საბჭო, რომელშიაც მასლოვი მოხვდა. კრებას ორი ქართველი მუსულმანი დაესწრო: სულეიმან ტაბახიძე და ალი ჟუნაფარიძე. ისინი აჭარელთა სახელით კრებას რუსეთისადმი ერთგულებას უცხადებდნენ და რუსებთან დარჩენის სურვილს გამოსთქვამდნენ. გამოირკვა, რომ ეს პირნი მასლოვისაგან ყოფილიყვნენ მოყვანილნი, ვინაიდან მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ერთი ამ აჭარელთა სახელით მოლაპარაკე, სახელდობრ ტაბახიძე, უკვე დანიშნული ყოფილიყო მასლოვის მიერ სასურსათო გამგეობის თავმჯდომარეთ. ეს ის ტაბახიძეა, რომელიც რევოლიუციის დროს აღმასრულებელმა კომიტეტმა პროვოკაციისთვის დააპატიმრა და აუკრძალა ართვინის ოლქში ცხოვრება. საოლქო საბჭო თანდათან თამამდება, იმის შემდეგ, რაც ქალაქის საბჭოსაგან ღირსეული პასუხი მიიღო, ახლა იერიში სასურსათო გამგეობაზე მიიტანა, მან მოინდომა სასურსათო საქმეებში ჩარევა. სასურსათო გამგეობა ღირსეული პროტესტით შეხვდა. ასეთი საქციელი გამგეობისა საბჭომ დანაშაულად ჩაუთვალა სასურსათო გამგეობას და სამსახურიდან დაითხოვა მთელი შემადგენლობა. მათ ნაცვლად დაინიშნენ სულეიმან ტაბახიძე, დიაკონოვი და ექიმი რადუგინი. გემთა მიმოსვლა გახშირდა, მოაქვთ საქონელი, როგორც გადასაცვლელად, ისე ნაღდ ფულზე გასაყიდათ. საოლქო საბჭომ დანიშნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გეგმა ბათუმის ოლქში ერობის შემოღებისა. კომისიის წევრებია ანისიმოვი, სულეიმან ტაბახიძე და ალი ჟუნაფარიძე.

ფოთი. იანვრის 30. (საკუთარი კორესპ.) თფილისიდან ჩამოსულმა საგანგებო რევიზიამ აღმოაჩინა ნავთსადგურის დაწესებულებებში მექრთამეობა და სხვა უწესოება.

— —

თიანეთი. საარჩევნო კამპანია დაიწყო. კრებები იმართება. საქმე კარგად მიდის.

ნადიბაიძე.

———

მანგლისის რაიონი. ყველგან მიტინგები იმართება. ხალხი სოც.-დემოკრატიის წარმომადგენლებს აღტაცებით ეგებება. საარჩევნო კომპანიის ირგვლივ მუშაობა გაცხოველდა.

გ. დემეტრაშვილი.

———

ბულიკლიუჩის რაიონი. წინწყაროში, კოდაში და კუმისაში გაიმართა საარჩევნო მიტინგები. ხალხის თანაგრძნობა სოც. დემოკრატიის მხარეზეა. ყველგან დადგენილებანი გამოიტანეს ხმა მისცენ № 1.

ვასო აფიციაური.

——

წავკისი. 24 იანვარს მოხდა სოფ. წავკისში საზოგადო კრება, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ვ. კაკაბაძემ. კრებამ ერთხმად დაადგინა ხმა მისცენ პირველ ნომერს ს. ს. დ. მ. პ. დაარსდა წრე ს. ს. დ. მ. პ.

სიმონ მჭედლიშვილი.

——

ფოთი. 31 იანვარი. (საკ. კორ.) დასრულდა საქალაქო და დამფუძნებელი კრების ამომრჩეველთა აღწერა. ძირითად სიებში შეტანილია 5952 კაცი, დამატებითი სიებში 1800. სულ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 6752 ამომრჩეველმა.

## ახალი ავანტიურა ახალციხის მაზრაში

შინაგან საქმეთა და გარეშე საქმეთა მინისტრებმა რწმუნებულის რუხაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს: აქ, ახალციხის მაზრაში, მდგომარეობა სერიოზულია. ჩვენ ხელთ გვაქვს უტყუარი დოკუმენტები, რომ ახალციხის მაზრაში აჯანყება მზადდება: დღეს ხელში ჩაგვივარდა ბათუმში არსებულ ახალციხის კომიტეტის გამოგზავნილი ომარ ფაიკ ეფენდის სახელობაზე მთელი გეგმა მათი მუშაობისა. აი ეს დოკუმენტიც: „სრულიად საიდუმლოდ. ძმაო ფაიკ-ეფენდი! გაცნობებთ, რომ ყარსში შესდგა დასავლეთ ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც უკვე შეუდგა საქმეს. ეროვნულ საბჭოს დეპუტატები ართვინიდან, ერევნიდან, ბათუმიდან და სხვა კუთხეებიდან ყარსში წავიდნენ. მთავრობის ხელში საკმაო სამხედრო ძალაა, ყოველივე შინაური საქმეები ამ მთავრობის ხელშია. ყველა მუსულმანები შეერთდნენ ღვთის ნებით. ჩვენი ხალხი და ჩვენი სამშობლო უნდა გადარჩეს და დასავლეთ ამიერ კავკასიაში ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა შეიქმნას. ეხლა ჩვენი თხოვნა ის არის, რომ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ქვემორე ჩამოთვლილ წინადადებებს: ა) საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში არავინ მონაწილეობა არ მიიღოს და არც ერთი ხმა არ მისცეს. არც ერთმა მუსულმანმა საქართველოს მთავრობას იარაღი არ ჩააბაროს. ყოველ შემთხვევისათვის ეს იარაღი მზად ჰქონდეთ. ჩვენ თითონ დაგეხმარებით; ბ) ამ წერილის შესახებ საჩქაროდ შეიკრიბეთ და ილაპარაკეთ. საჩქაროდ ფოცხოვში გაგზავნეთ ერთი კაცი და გადაეცით ეს ამბავი; გ) თუ ვინმე მანდ ოსმალეთის ჯარისკაცები მოიპოვებიან მათ პატივი ეცით და ხელში იყოლიეთ. ინგლისელები ყარსის მუსულმანთა მთავრობას ხელს უწყობენ და მასთან კარგ განწყობილებაში არიან. ამხანაგებთან ერთად ფოცხოვში უნდა მიხვიდეთ და იქ ყარსის წარმომადგენლებიც იქნებიან. ასეთი წერილი თქვენს გარდა ეგზავნება მოლა სგოდს, მოლა ნურისს და შაჰბანწულმან ოღლებს. მოლაპარაკებაში მიიწვიეთ მოხელე შეხრი ეფენდი. ხელს აწერს: ახალციხის კომიტეტი, ბათუმი.

——

**ოსმალეთის აგენტების დეპეშა.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ბათომიდან:

„1919 წლის 20 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა, ისარგებლეს რა ოსმალთა წასვლით ყარსის ოლქიდან, უეცრად თავს დაესხნენ სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი მთავრობის ადგილობრივ მილიციას და 8 საათის ბრძოლის შემდეგ დასტოვეს რა ბრძოლის ველზე 10 მოკლული ჯარისკაცი და 4 ტყვიისმფრქვეველი, გაიქცნენ. მოწინააღმდეგეთა დადევნებაში ჩვენმა ჯარებმა ხელათ დაიკავეს რამოდენიმე სოფელი. ვაცხადებ რა პროტესტს საქართველოს ჯარების თავდასხმის გამო სამხრეთ-დასავლეთ კავკ. დრ. მთავ. სახელით, წინადადებას ვიძლევი შეტაკების გამოსაკვლევათ დაარსდეს შერეული კომისია ინგლისელთა აუცილებელი მონაწილეობით და გატყობინებთ თქვენ, როგორც თავმჯდომარეს საქართველოს მთავრობისა, რომ განმეორებული თავდასხმები საქართველოს ჯარებისა სამხრეთ დასავლეთ კავკასიის დროებითი მთავრობის მილიციაზე, გამოიწვევენ არა სასურველ შედეგებს.

წარმომადგენელი სამხრეთ-დასავლეთის დროებითი მთავრობისა ყარსში, ბეგ ათაბეგოვ-კობლიანსკი“.

## საგარეო საქ. მინისტრი ინგლ. ჯარების მთავარსარდალთან

30 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ინახულა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი გენ. სერ ჯორჯ მილნი. გენერალმა მადლობა გადაუხადა ბ. მინისტრს გულწრფელი მილოცვისათვის და დიდის ყურადღებით შეხვდა მინისტრის მიერ აღძრულ საკითხებს.

მინისტრის საუბარი ეხებოდა განსაკუთრებით უკანასკნელად მომხდარ ამბებს საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრებზე და ბათუმის მხარეში.

აცნობა რა ახალციხის მაზრასა და ართვანის ოლქში მომხდარი ამბები, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ამბები გამოწვეულია ოსმალეთის აგენტების, ემისარების და ოსმალეთის კავკასიაში ყოფილ სარდლების მიერ, რომლებიც დიდი ხანია ეწევიან პროპაგანდას ადგილობრივ მცხოვრებლებში, ხოლო უკანასკნელ დროს შეაიარაღეს ბრბო და თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკას საზღვრების დამცველ დარაჯებს.

ოსმალეთის აგენტების ეს მუშაობა არის ცდა იმ გეგმის გაგრძელებისა, რომელიც დაისახა ოსმალეთმა, როცა ომის დროს თავს დაესხა კავკასიას.

ოსმალეთის გეგმის თანახმად მისმა აგენტებმა დაისახეს მიზნად შექმნან ახალი სახელმწიფო, ყარსის, ართვანის და ბათუმის ოლქთა ტერიტორიაზე. ეს სახელმწიფო აღმოსავლეთით უნდა ეკვროდეს ადერბეიჯანს და დასავლეთით კი შავ ზღვას. ამ გეგმის მთავარი აღმსრულებელნი მოქმედებენ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროშის“ ქვეშ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა რა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობა მედგარი დამცველია ერთა თვითგამორკვევისა, რომ ამ შემთხვევაში ხსენებულ პრინციპის ნიღაბ ქვეშ ანხორციელებენ სრულებით სხვა მიზანს—ჩამოაცალონ საქართველოს მისი განუყოფელი და მასთან ორგანიულად დაკავშირებული ნაწილი, ურომლისოდ საქართველოს რესპუბლიკას ცხოვრება არ შეუძლია. ოსმალეთის აგენტებს კი ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ქვეშ, სურთ ჩაჰკეტონ საქართველო ისეთ საზღვრებში, რომელშიაც მას ვერ შეეძლება განვითარება და რკალივით შემოერტყმიან მას.

ამის შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ მას შეძლება აქვს უტყუარი დოკუმენტებით დაამტკიცოს, რომ ავტორნი და განმახორციელებელნი ამ საქციელისა და მთელი ამიერ კავკასიის მშვიდობიანობის მტრობისა და ავანტიურისტულ მოქმედებისა, არიან პირნი, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებთან. ეს პირნი ხელმძღვანელობენ მხოლოდ პირადი მოსაზრებით და სურთ გააჩაღონ ანარქია და ჩაითრიონ ხალხი დაღუპველ ავანტიურაში.

მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ ავანტიურის ქსელი იბმება ბათუმიდან, სადაც დაუბრკოლებლად მოღვაწეობენ ისეთი პირნი, როგორიც არიან ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, ბეგ ათაბეგოვ კობლიანსკი, რომელთაც მთელი თავიანთი მოქმედებით წარსულში დაიმსახურეს ოსმალეთის აგენტების სახელი.

დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ ოსმალეთის აგენტების ეს ავანტიურა, რომელიც ერთნაირად ემუქრება, როგორც საქართველოს ინტერესებს, ისე მშვიდობიანობას და წესიერებას მთელს ამიერ-კავკასიაში—არ იქნება დროზედ მოსპობილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იქნება ერის ფიზიკურ ინტერესებისათვის, თვით მიიღოს კატეგორიული ზომები თავის დასაცავად.

გენერალმა სერ ჯორჯ მილნმა ამის საპასუხოთ განუცხადა, რომ ახალციხის და ართვანის საზღვრებზე მომხდარი ამბები მან უკვე იცის.

გენერალმა დაარწმუნა მინისტრი, რომ მას დაკისრებული აქვს მთელი პასუხისმგებლობა კავკასიაში მშვიდობიანობის და წესიერებისა მოკავშირეთა წინაშე და იგი არ დაუშვებს, რომ ეს წესიერება დარღვეულ იქნეს დღევანდელ მდგომარეობაში, როდესაც ხალხს ესოდენ სწყურია იგი.

გენერალმა მისცა დაპირება მინისტრს, რომ დამნაშავენი მდგომარეობის ასე გართულებისა ართვანის საზღვარზე მალე იქნებიან აღმოჩენილნი და შესაფერისად დასჯილნი.

ამ მომხდარ ამბებს გენ. მილნი სცნობს ოსმალეთის მიერ აშკარად დარღვევას მოკავშირეთა და ოსმალეთს შორის დადებულ დროებითი ზავის პირობებისა. ის, რომ ოსმალეთის მთავრობა სინდისიერად არ ასრულებს ზავის პირობებს, უკვე იცის დიდი ბრიტანეთის მთავრობამ და უახლოეს ხანში მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები ოსმალეთის ასალაგმავად.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა არავის არ მისცემს ნებას ჩაერიოს მის განკარგულებებში და მით უმეტეს ვერ მოითმენს მოტყუებას მის მოსისხლე მტრებისაგან.

გენერალმა იცის, რომ აწ-ამად მომხდარ ამბებთან, კავშირი აქვთ ოსმალეთის აგენტებს, როგორც მაგ. ხალილ-ბეი, შევქეთ-ფაშა და სხვანი.

დასასრულ გენ. განუცხადა ევ. გეგეჭკორს, რომ მან იცის მისი (ჩვენი საგარეო საქმეთა) წარსული მოღვაწეობა და მისი შეხედულება დიდი ბრიტანეთის შესახებ. გენერალმა მილნმა იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს მთავრობა შესძლებს გაიყვანოს თავისი ხალხი ამ განსაცდელთაგან სამშვიდობოს.

გენ. მილნმა სინანული გამოსთქვა, რომ საშუალება აღარ აქვს კიდევ დარჩეს თფილისში, მაგრამ იმედი აქვს, რომ შემდეგში ამას იგი მოახერხებს.

გაზ. „ერთობის“ მკითხველთა საყურადღებოთ

გაზეთის გამოსაცემ ხარჯების გადიდების გამო 1 თებერვლიდან გაზ. „ერთობა“ ღირება, როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით 18 მ. ცალკე ნომერი 75 კაპ.

გაზეთის გამყიდველებს და აგენტებს დაეთმობათ 62 კაპ. ვთხოვთ ხელის მომწერთ, რომელთაც ფული 12 მანეთის კვალობაზე აქვთ გადახდილი შესაფერათ შეავსონ ხელის მოსაწერი ფული.

## არჩევნების გარშემო

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მომითავსოთ თქვენი გაზეთის ახლობელ № ში, რომ მე არავითარი საერთო არა მაქვს „სოციალ დემოკრატის“ ჯგუფთან, ვარ წევრი თფილისის ორგანიზაციისა საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიისა 1905 წლიდან. ეხლა მე შეუტანივარ № 4 ს საკანდიდატო სიაში გთხოვთ ჩასთვალოთ ჩემი კანდიდატურა № 4 სიაში მოხსნილად.

მუშა ვასილ ბუშკინი.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

31 იანვარი.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

გერმანიის ეროვნულ ყრილობის არჩევნების შედეგი: სოც. დემ. 165, ცენტრი—91. დემოკრატებმა—75, კონსერვატორებმა—38, ნაციონალ-ლიბერალებმა—22, დამოუკიდებელ სოც.-დემ. 22, სხვა პარტიებმა 8.

ვეიმარის ეროვნულ თეატრს ამზადებენ გერმანიის ეროვნულ ყრილობის კრებებისთვის.

ამერიკის საოკუპაციო ჯარის რაოდენობის საკითხს გადასწყვეტს ვილსონი. საომარ ჯარის რიცხვი ნახევარ მილიონს აღწევს და, როგორც სჩანს, ამ რიცხვს აღარ შეამცირებენ.

დემობილიზაცია საჩქაროთ და წესიერათ სწარმოებს. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ყოველ დღიურათ თავისუფლდებოდა 35,000 კაცი. იმედი აქვთ ამ რიცხვს 40,000-მდე გაზრდიან და 1916 წლის იანვრიდან ნამსახურთ მალე გაუშვებენ. ამ ცხრა თვის განმავლობაში საჭირო იქნება მხოლოდ 900,000 კაცისგან შემდგარი ჯარი. ჯარში დასტოვებენ მათ, ვინც ცოტა ხანი მსახურობდა და სხვათა შორის მხედველობაში იქნება მიღებული მათი ეკონომიური მდგომარეობა. ფიქრობენ გაანთავისუფლონ ყველა 35 წლის ზევით. დემობილიზაციის დასრულებამდე მოხალისეთაგან ჯარის შედგენა შეუძლებელია. დატოვებულ ჯარისკაცთ გაუდიდებენ ჯამაგირს.

## მოქალაქენო!

კონვერტების დარიგება უკვე დასრულდა—ფოსტალიონები აღარ მოგიტანენ კონვერტებს.

ამიტომ, ვისაც არ მიგიღიათ კონვერტები, თქვენ უნდა მოიკითხოთ საუბნო საარჩევნო კომიტეტებში—ჩაუბარებელი კონვერტები იქ ინახება.

ნუ დაჰკარგავთ ხმას: ნუ დაიზარებთ და მიდით საუბნო საარჩევნო კომიტეტში.

დღეს უკანასკნელი დღეა.

მოქალაქენო! თუ თქვენი კონვერტები საარჩევნო კომიტეტში არ აღმოჩნდეს, მაშინ არჩევნების დღეს—კვირას—ყუთებთან მოიკითხეთ: იქ უსათუოდ იქნება თქვენი კონვერტი.

იჩქარეთ, მოქალაქენო!

---

ნორვეგიის მეზღვაურთა კავშირმა გერმანიას მოსთხოვა 800 000 მანეთი წყალქვეშა ნავების მიერ დახოცილ ნორვეგიელ მეზღვაურთა ოჯახების სასარგებლოთ. მეზღვაურებმა გადასწყვიტეს ფულის გადახდამდე გერმანიაში საქონლის გადაზიდვა შესწყვიტონ.

საზავო კონფერენციამ განიხილა გერმანიის შორეულ აღმოსავლეთსა და დიდ ოკეანეს ახალშენების საკითხი და აგრეთვე იმ ჯილდო ხალხთა ლიგის პრინციპების განხორციელების შესახებ.

შეერთებულ შტატების ქვედა პალატაში ვაშინგტონის საემიგრაციო კომიტეტმა მიიღო კანონი ზავის შეკვრის შემდეგ 4 წლის განმავლობაში საერთო ემიგრაციის აღკრძალვის შესახებ.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გაზეთების ცნობებით ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება გენერალ ვინტერფელდის გადადგომის შესახებ.

დანცინგში პოლონელები კარ და კარ დადიან და აგიტაციას ეწევიან გერმანელებში და ცდილობენ მიიმხრონ ისინი. პოლონელები გაბედნიერებით პირდებიან გერმანელთ, თუ ისინი პოლონეთის სამეფოს შეუერთდებიან. მაგრამ მათი ცდა უნაყოფოთ რჩება.

მოქალაქეებმა იციან, რომ პოლონეთის ახლანდელი ფინანსიური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა და მათთან შეერთება მხოლოდ ექპლოატაციას გამოიწვევს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1912 წელში რეიხსტაგის არჩევნების დროს პოლონელ კანდიდატებმა მიიღეს ყველა ხმების მხოლოდ 2 პროცენტი.

ვილჰელმსჰაფენში სპარტაკელთა მოძრაობა სავსებით ჩააქრეს. ორშაბათს მოვიდნენ კომუნისტები და დაიჭირეს საზოგადოებრივი დაწესებულებანი, დაიპყრეს სახელმწიფო ბანკი, საიდანაც დატუსაღებით წაიღეს 40,000 მარკა. კომუნისტებმა ეს ფული არ დაუბრუნეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სახელმწიფო ბანკიდან 1,000,000 მარკა კიდევ გაიტაცეს. გატაცებული ფული მიიტანეს ტუაზენდგამის ყაზარმაში, სადაც სპარტაკელთა მთავარი ბანაკი იყო. მოლაპარაკების შემდეგ სპარტაკ. დათანხმდნენ, რომ ის ფული სახელმწიფო ბანკს დაუბრუნონ, მაგრამ როცა ფულის წასაღებათ ყაზარმასთან ჯარისკაცებით ავტომობილი მოვიდა, სპარტაკელებმა მას სროლა აუტეხეს. ამის შემდეგ ყაზარმას ალყა შემოარტყეს და მის წინააღმდეგ ტყვიისმფრქვეველები და წვრილი საზღვაო ზარბაზნები აამოქმედეს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ სპარტაკელებმა ბანკს დაუბრუნეს ფული გარდა უკვე გატაცებულ ნაწილისა. შემდეგ სპარტაკელებმა განაცხადეს, რომ ღამის 2 საათზე ისინი დანებდებიან. 500 ტყვეთ წამოიყვანეს 7 მოკლულია. შემდეგ დღეებში შეწყდა გაფიცვა და წესიერება ყველგან აღადგინეს. ქალაქის მოსამსახურეთა თხოვნით შესდგა თავდაცვის რაზმი.

**ბალშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. 29 იანვარი. გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა გერმანიიდან ყველა სამხედრო ტყვეების 15 იანვრამდე გაყვანის აუცილებლობაზე. პოლტავა. იანვრის 22. პოლტავის ახლოს წინ მოხდა ახლო-მახლო სოფლების გლეხთა აჯანყება. პოლტავა 3000 მეამბოხემ აიღო. იანვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის 17—18 ღამე კი პეტლიურას ჯარმა პოლტავა კონტრ იერიშით უკან დაიბრუნა. პეტლიურას ჯარის დასახმარებლად გალიციის მსროლელნი მოვიდნენ, რომელთაც მაშინვე მოახდინეს ებრაელთა დარბევა. თავზარდაცემული მცხოვრებნი სარდაფებში იმალებოდნენ. უწესოება მთელი დღე გრძელდებოდა. საღამოთი მოვიდა ბოლშევიკების დივიზიები და შეტევა დაიწყეს. მთელ ღამეს და მეორე დღეს დიდი ბრძოლა სწარმოებდა. იანვრის 19 გალიციელები განდევნეს კიევის სადგურიდან, სადაც ბოლბოჩინის შტაბი იყო. ჯარში გაწვეული აუარებელი გლეხობა ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა დილის 10 საათზე საბჭოთა ჯარმა მარსელიეზის და ინტერნაციონალის ჰიმნით ქალაქში გაიარა. ხარკოვი. 25 იანვ. მოკავშირეები დიდძალ პურს ყიდულობენ.

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს 4 საათზე 1, 2, 3, 4 და 6—რაიონების ბინებზე დანიშნულია პარტიის წევრთა საზოგადო კრებები. ყველა წევრი აუცილებლათ უნდა გამოცხადდეს თავის რაიონში.

◆ **სამხედრო წესები ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში.** საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დადგენილებით ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. აღნიშნული მაზრების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მაზნიაშვილი, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირნი და დაწესებულებანი.

◆ **მთვრობის სტამბაში,** 30 იანვარს, საღამოს მოხდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრების საგანი იყო მომავალი არჩევნები. ილაპარაკეს გაზეთ „სოციალ დემოკრატის" ჯგუფიდან არშაკ ზურაბოვმა და ფირუმოვმა საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით—დ. ხართიშვილმა და ალ. ფარნიევმა. კრებამ დაბოლოს თითქმის ერთხმად მიიღო საქართველოს სოც. დემ. პარტიის სახელით წარდგენილი რეზოლიუცია.

◆ **სამოქალაქო კომიტეტი** მე-12—დიდუბის რაიონისა იწვევს მოქალაქეთ შაბათს, 1 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე წინასწარ საარჩევნო კრებას დემოკრატიულ კლუბ მუშტაიდში და იწვევს წარმომადგენლებს ს. ს. დ. მ. პ. და სხვა პოლიტიკური პარტიებისას.

◆ **ერევანში** სახადით გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი ა. მანუკიანი. (არამ).

◆ **ინსტრუქცია მილიციას.** თფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებელმა მოხსენება წარუდგინა იუსტიციის მინისტრს, მილიციის მოხელეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის გამოცემის საჭიროებაზე. ხსენებულ მიზნისთვის ბრალმდებელი შუამდგომლობს 11 ათასი მანეთის გადადებაზე.

◆ **გადასახადთა გადიდება.** სახელმწიფო გადასახადის გადიდების მიზნით, იუსტიციის სამინისტრო იმუშავებს კანონ პროექტს, საჩივრის გამო სასამართლოში შესულ ქაღალდებზე გადასახადთა გადიდებისას.

◆ **თფილისის კოოპერატივის** მოსამსახურეთა კავშირის უკანასკნელმა სხდომამ დაადგინა შეცვლილ იქნეს ვაჭრობის დრო. ვაჭრობა შეუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს დილის 8 ნახ. საათიდან საღამოს 5 ნახ. საათამდე.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** ოთხშაბათს მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბინაზე შესდგა ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციების მეოთხე რაიონის წევრთა დამფუძნებელი კრება, დაესწრო 40 დე ახალგაზრდა. ჯერ კრებამ ამოირჩია ხუთი პირის მიერ შემდგარი დროებითი კოლექტივი, რომელსაც დაავალა ახლო მომავალში მოიწვიოს ფართე საზოგადო კრება, სადაც გამომუშავებულ იქნება სხვადასხვა პრაქტიკული ზომები საორგანიზაციო მუშაობისთვის. შემდეგ კრებამ მოისმინა მეოთხე რაიონის ამხანაგების საარჩევნო კომისიების წარმომადგენლის მოხსენება და თანახმად მათის თხოვნისა გამოყო თავის შემადგენლობიდან 15 ახალგაზრდა მიმდინარე არჩევნებში დასახმარებლად.

◆ **აგრონომიული კურსები.** მიწათმოქმედების სამინისტროსთან 17 თებერვლიდან გაიხსნება წლინახევრიანი აგრონომიული კურსები. კურსებზე მიიღებიან მხოლოდ საშუალო სასწავლებელ დამთავრებული ახალგაზრდები,

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. თბილისის ქალთა ყველა ორგანიზაციების და ქალთა ბიუროს შეერთებული კრება.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ს. მელექედური** (ოზურგეთის მაზრა). ამირონ ხმელიძემ და ჯამბულეთი ლეონტმა მელექედურის სკოლის სასარგებლოდ შეჰკრიბეს 359 მან. და 50 კ. თფ. მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განსაკუთრებულ რაზმის წევრებს შორის. ფული მიიღო სასკოლო საბჭომ, რისთვისაც მადლობას უცხადებს ზემოხსენებულ პირთ.

## საქართველოს პარლამენტი

**30 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

თანახმად სარედაქციო კომ. წევრის რ. არსენიძის მოხსენებისა პარლამენტმა უკამათოდ მიიღო საბოლოო ტექსტები: მიწათმოქმედების სამინისტროს შტატის ხარჯთ აღრიცხვისა, მიწათმოქმედების სამინისტროსთვის 61500 მან. გადაცემის, სახელმწიფო მოსამსახურეთა საჩუქრის მოსპობის, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოვების, საგუბერნიო საადმინისტრაციო დაწესებულებათა გაუქმების, ათ მილიონიან ფონდის აღდგენის, განსაკუთრებულ რაზმის ხარჯთაღრიცხვის.

**კანონ პროექტი ორი მილიონი მანეთის გადაცემისა აგრარულ რეფორმის გასატარებლათ.**

დ. ონიაშვილი. წარსულ წელს ამიერ კავკასიის სეიმმა გადასცა მიწათმოქმედების სამინისტროს მილიონ ნახევარი მანეთის კრედიტი აგრარულ რეფორმის გასატარებლათ. ეს ფული მოხმარდა არა მარტო საქართველოს, არამედ—განჯის და ერევნის გუბერნიებსაც. საქართველოში დაარსდა მიწის მიმღები კომისიები: თფილისის გუბერნიაში 30 კომ., ქუთაისის 20 კ. და აგრეთვე დაარსდა სადგილმამულო კომიტეტები. კომისიები იბარებდნენ ჩამორთმეულ მამულებს; ბევრ ადგილას მათ თავიანთი მუშაობა დაამთავრეს, მაგრამ არის ადგილები, სადაც მიწების ჩაბარება კვლავ სწარმოებს და მუშაობა კომისიებს არ დაუმთავრებია. მიწათმოქმედების სამინისტროს უნდა გადაეცეს ორი მილიონი მანეთი ამ კომისიების ხარჯების დასაფარავათ. კანონ-პროექტი, რომელიც ერთი მუხლისაგან შესდგებოდა პარლამენტმა უკამათოდ მიიღო.

მისივე მოხსენებით პარლამენტმა მიიღო საპყრობილეთა შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 1310704 მ. 89 კაპ. გადადების კანონ-პროექტი.

**კანონ-პროექტი წყლის ძალთა გამოყენების.**

ქ. ნინიძე. მოახსენებს პარლამენტს, რომ წარმოდგენილ კანონ პროექტის ძალით, ვისაც სურს წყლის ძალთა გამოყენება ელექტრონის სადგურისთვის ან სხვა მიზნისთვის, თუ ენერგია, რომელიც უნდა დაიხარჯოს არ აღემატება 300 ცხენის ძალას, ნებართვა უნდა მიიღოს წყლის სამმართველოდან, თუ ენერგია საჭირო 300—ათი ათას ცხენის ძალამდის ნებართვას აძლევს მთავრობა, თუ ათი ათას აღემატება ამტკიცებს საკანონმდებლო ორგანო. კანონ პროექტი უკამათოდ მიიღეს.

**კანონ პროექტი გადასახლებულთა მიერ დატოვებულ მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა.**

ქ. ნინიძე მოახსენებს პარლამენტს, რომ ძველმა მთავრობამ გადმოსახლებულებს მისცა მიწები, რევოლიუციის შემდეგ გადმოსახლებულნი წავიდნენ რუსეთში და მათი მიწები უპატრონოდ არის დატოვებული. ეს მიწები გადავა სახელმწიფოს ფონდში, საიდანაც უმიწაწყლო გლეხები მიწებს მიიღებენო. პარლამენტმა წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიიღო.

**კანონ პროექტი ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ ადგილების და ჯამაგირების შესახებ.**

მინ. ტროშელიძე მოახსენებს პარლამენტს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტის ძალით ომში წასულ მუშებს და მოსამსახურეებს ენახებათ ადგილები და აგრეთვე სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ეძლევათ ჯამაგირის ნახევარიო. კანონ-პროექტი პარლამენტმა მიიღო.

**კანონი სომხებთან ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ მეომართა და მათ ოჯახთა უზრუნველყოფის შესახებ.**

ქ. ანდრონიკაშვილი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი შეეხება მოხალისეებს და გვარდიელთ. სახელმწიფო მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს ომში დაღუპულ მეომართ ოჯახებსო. ადგილობრივი თვითმართველობანი გამოიკვლევენ ოჯახის საცხოვრებელ მინიმუმს, მუშის საშუალო ხელფასს და დახმარების აღმოჩენის დროს ხელმძღვანელობენ შეკრებილ ცნობებით. ამ კანონის განხორციელებისათვის სამხედრო სამინისტროს უნდა მიეცეს 350 ათასი მანეთი. პარლამენტმა კანონი მიიღო.

**დროებითი დებულება მთავრობის მიერ დანიშნულ რევიზიისა.**

ი. ფირცხალაიშვილი. წარმოდგენილ კანონ-პროექტით მთავრობის თავმჯდომარეს ეძლევა უფლება დანიშნოს რევიზია სხვადასხვა უწყებებს. რევიზიის მუშაობამ რომ ნაყოფი გამოიღოს, სარევიზიო კომისია უნდა აღიჭურვოს ფართო უფლებებით. უნდა მიეცეს ნება მას დანიშნოს წინასწარი გამოძიება გადააყენოს ბოროტ მოქმედების ჩამდენი მოხელენი თანამდებობიდან და სხვა. წარმოდგენილი კანონ-პროექტი უნდა ებრძოდეს ყველა იმ ბოროტ-მოქმედებს, რომელიც ჩადენილი იყო დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. კანონი პარლამენტმა მიიღო.

მიიღეს უკამათოდ თანახმად ილ. ფირცხელაიშვილის მოხსენებისა კანონ-პროექტი დროებითი საგანგებო სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოვებისა ამ კანონის ძალით სამსახურში მოხელეთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებანი უნდა გარჩეულ იქნეს დროებითი სასამართლოში.

**მოქალაქენო!**

**ომიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიმშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დამშევისაგან.**

**ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.**

## ჩვენ ვის უნდა მივცეთ ხმა?

ამ კითხვით მინდა მოგმართოთ თქვენ საქართველოს ქალებო, საქართველოს თავისუფალნო მოქალაქენო. გულის ფანცქალით ველი თქვენს პასუხს, ველი და წინათვე ვგრძნობ, რომ თქვენი პასუხი ღირსეული იქნება თავისუფალ რესპუბლიკის მოქალაქისათვის. მთელი ერთი წლის განმავლობაში, რაც დაიწყო ჩვენმა სამშობლომ ყოფნა არ ყოფნის სასწორზე ქანაობა, ადამიანის გონება ერთ რომელიმე საკითხზე ვერ ჩერდებოდა, იმდენათ ცვალებადი იყო ჩვენი ცხოვრება, იმდენი ტანჯვა-წვალება, იმდენი განსაცდელი, სამაგიეროთ იწვნიეთ მაშინ, როდესაც ეყრებოდა საფუძველი ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ჩვენმა ბელადებმა არ დაივიწყეს ისეთი საკითხიც, როგორიცაა ქალთა საკითხის უმთავრესი ძარღვი: ქალთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები. არ დაივიწყეს ერთი უმთავრესი საკითხი კულტუროსნობის მაჩვენებელი. ამ საჭირბოროტო საკითხის წინაშე ჯერ კიდევ ჰდუმან ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი და კულტუროსანი ამერიკაც. ჩვენ კი, ჩვენ, ჩვენი პარტიის, სოც.-დემოკრატიის მეოხებით მივუახლოვდით იმ კულტუროსან მხარეებს, რომლებიც თითით საჩვენებელია მთელ დედამიწის ზურგზე. აი, რა დიდი რამ მოგვანიჭა ს.-დ. პარტიამ საქართველოს მოქალაქე ქალებს.

დღეს სოც. დემ., რომლის ხელშია ჩვენი ერის ბედ-იღბალი, მოგვანიჭა ჩვენ ქალებს სრული პოლიტიკური უფლებანი და დღეს ბედნიერათ უნდა ვთვლიდეთ ჩვენს თავს, რომ საშუალება გვეძლევა, როგორც საქართველოს სრულ უფლებიან მოქალაქეს გულით და სულით მადლიანი ხმა მივცეთ იმ პარტიას რომელმაც ეს სრული მოქალაქობრივი უფლება მოგვანიჭა. ვინ, თუ არა ს.-დ. პარტია სწყვეტს ამ საჭირბოროტო ქალთა საკითხს, ვინ ანიჭებს ქალებს სრულ პოლიტიკურ უფლებას, თუ არა ს.-დ.? მარტო ს.-დ. აქცევდა ამ საკითხს ყურადღებას და სადაც ეს ძლიერი იყო, იქ ქალებსაც ადამიანათ უყურებდნენ და ანგარიშს უწევდნენ მთელ დედამიწის ზურგზე ჩვენი საქართველო მესამე თუ მეოთხე მხარეა, სადაც ქალები ასეთი სრულ უფლებიანი არიან მამაკაცებთან. და აი მე ვამბობ, რომ ბედნიერების ცეცხლი მღვივის გულში. რომ ამ დღემდე მივაღწიე და ეხლა ვგრძნობ მთელს პასუხისგებას იმ პარტიის წინაშე, ვინც მაგრძნობია განმაცდევინა ეს წუთ! და აი მე მოგმართავთ თქვენ საქართველოს ქალებო, ჩაუკვირდით დღევანდელს თქვენს როლს, თქვენ მოვალეობას და იგრძნობთ, თუ ვინ არის თქვენი მხსნელი.—დიახ მხსნელი, ამას თქვენ უფრო იგრძნობთ მუშა ქალებო, თქვენი შრომა და თქვენი მდგომარეობა უფრო აშკარათ გაგრძნობიებს, თუ ვინ არის თქვენი მხსნელი, თუ ვინ მოგანიჭათ 8 საათის სამუშაო დღე, ვინ დაზღო თქვენი ჯანმრთელობა, ვინ ცდილობს თქვენი შრომის პირობების გაუმჯობესებას, ვინ მოგანიჭათ ადამიანური უფლებები, ვინ მიგიყვანათ თქვენ მამებთან, ქმრებთან, შვილებთან ერთად საარჩევნო ყუთებთან. მარტო და მარტო სოც.-დემოკრატიამ. მარტო ეს პარტიაა მთელ დედამიწაზე ჩვენი დამცველი, როგორც დაჩაგრული დამონებულ ადამიანების. მაშ, ველი თქვენს პასუხს. ველი, რომ ყველა ქალი იგრძნობს თავის ნამდვილ მოვალეობას დღეს. და მერე კი, როცა გამარჯვებულნი, ზურგს გაუმაგრებთ ჩვენს პარტიას, მერე შევუდგებით უფრო ვრცლად გარჩევას და დამკვიდრებას ბრძოლით მონაპოვარ უფლებებისას. რომ ეს ასე მოხდება, ამის ნიშნები უკვე სჩანს, ამას მოწმობენ მთელი თფილისის მუშა ქალების ორგანიზაციები, რომლებიც ს.-დ. პარტიის დროშის ქვეშ მოუყრიათ თავი!—მაშ კიდევ, კიდევ მივცეთ გამარჯვება ჩვენ პარტიას და ჩვენი მშვიდობიანი კულტურული ცხოვრება უზრუნველ ყოფილი იქნება.

ყველა, ყველა ჩვენი ხმები ჩვენს მხსნელს, ჩვენს დამცველს ს. დემოკრატიულ პარტიის სია № 1.

**თამარა გოგოლაშვილი.**

## პარტახტიანი ტიფი

(მოხსენება საგანგებო რწმუნებულის საბჭოში).

ეს მესამე თვეა ჩვენში ქალაქათ და სოფლად პარტახტიანი ტიფის საშინელი ეპიდემია მძვინვარებს. ქალაქის გადამდებ სენის ბარაკებ საავადმყოფოებში ყოველ დღე სამოცამდე ახალი ავადმყოფი მიჰყავთ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს რიცხვი ნახევარს არც კი შეადგენს იმ რიცხვისას, რომელიც ყოველ დღე ავათ გამხდართა სინამდვილეს გამოხატავს. ქალაქს არა აქვს სტატისტიკური ბიურო და კანონმდებლობით შექმნილი სანიტარული ორგანიზაცია, რომელიც ტიფის თვითეულ შემთხვევაზედ ბიუროს აცნობებდეს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ავლაბრის, ორთაჭალის და სხვა ღარიბი უბნების ბევრი ავადმყოფი ექიმის უნახავი ბინაზე რჩება და სტატისტიკურ აღრიცხვაში არ შედის. ტიფის ეპიდემია გავრცელებულია აგრეთვე პროვინციაში, საიდანაც ჩამოსულები გულშემზარავ ცნობებს გადმოგვცემენ ავადმყოფთა რაოდენობაზე და სოფლის ამ მხრივ გაჭირვებულ მდგომარეობაზე. როგორც ქალაქად ისე სოფლად ტიფის ეპიდემია ერთ თანაბარ ნიადაგზე აღმოცენდა, რომელიც დიდმა ომმა დაგვიტოვა. ნახევრად მშიერ ტიტველი ხალხი—ქალაქად მეტის-მეტი სივიწროვეთა სცხოვრობს. სახსარი არა აქვს, რომ ბინსა და პირადი სისუფთავე დაიცვას, ყველაფრის ულერესი სიძვირისა გამო. გარდა ამისა ჩვენი ისტორიული ხანა, მდიდარი პირველხარისხოვანი ისტორიული მომენტებით მეტის-მეტად დიდს და ღრმა შთაბეჭდილებას და განცდას აყენებს ხალხის სხეულის ნერვიულ აგებულებას და შესამჩნევად ასუსტებს, ადუნებს მას და უკარგავს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ თავდაცვის უნარს. აი ის ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიური ნიადაგი, რომელიც პარტახტიანი ტიფის ეპიდემიისათვის ულერეს ნაყოფიერ ნიადაგათ გადაიქცა. პარტახტიან ტიფს კაცობრიობა დიდი ხანია იცნობს.

წარსულში პარტახტიანმა ტიფმა რამდენჯერმე გამოიცვალა სახელი. ოდესღაც მას „ირლანდიის" ტიფს ეძახდნენ იმიტომ, რომ ირლანდიაში ტიფის დიდი ეპიდემიები იყო და მსხვერპლად დიდძალ ხალხს იწირავდა. ამ ბოლო ხანებში ტიფი ევროპაში მხოლოდ რუსეთში იღებდა ეპიდემიურ ხასიათს და იქიდან ჩვენც—როგორც ნაწილს რუსეთისას ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე. პარტახტიანი ტიფი ქვეყნიერებაზე დიდი ხანია არსებობს და ეს არსებობა მეტის მეტად ძნელი და სამწუხაროა. ისტორიის იმ ფურცლებზე სადაც კაცობრიობის დიდი უბედურებანი არიან აღწერილნი ომიანობის და შიმშილობის დროს, იქ იმ ფურცლებზე ტიფის სახელსაც მუდამ შევხვდებით. ხშირათ პარტახტიან ტიფს „სამხედრო ტიფს" ეძახიან. მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული, მასუკან, რაც პარტახტიანი ტიფი ცალკე ავათმყოფობათა ცნობილი, ჩვენ ხანამდე ყველა ომიანობის დროს პარტახტიანი ტიფის დიდი ეპიდემიები მძვინვარებდნენ და დიდძალ ჯარს იწირავდნენ მსხვერპლად, უფრო ბევრს, ვიდრე იარაღი ბრძოლის ველზედ. მაგ., პარტახტიანმა ტიფმა 1812 წელს ნაპოლეონის ჯარი გაანადგურა. მარტო ქალაქ ვილნოში მაშინ საფრანგეთის ჯარმა 30 ათასი ტიფით ავადმყოფი დასტოვა, რომელთაგან 25 ათასი მოკვდა. მეომრებისაგან ტიფი მკვიდრ მცხოვრებლებს დახოცილ მეომრების ტანისამოსით მოავაჭრე ებრაელებს გადაედოთ და მათგან 8 ათასი კაცი მოკვდა. უდიდესი ზარალი მიაყენა პარტახტიანმა ტიფმა ჯარებს ყირიმისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებშიაც. ტიფის ერთი მეტის მეტად დამახასიათებელი ეპიდემიოლოგიური ფაქტი დასტოვა ყირიმის კამპანიამ. ომიანობის პირველ ზამთარს, ინგლისელებმა შედარებით ფრანგებთან ტიფით ორჯელ მეტი ჯარისკაცი დაკარგა. ამ მიზეზით მომავალი ზამთრისთვის ინგლისელებმა სანიტარულად თავიანთი ჯარების მდგომარეობა გააუმჯობესეს. ფრანგებმა კი არაფრით არ შესცვალეს თავიანთი ცხოვრება. ორი მოკავშირის ასეთ მოქმედებას მეტის მეტი საგრძნობელი შედეგი მოჰყვა. მეორე ზამთარში ფრანგებს პარტახტიანი ტიფით მოუკვდათ 10,278 ჯარისკაცი, ინგლისელებს კი 16 კაცი. 1778 წლის ომში რუსეთის ჯარს ტიფებისაგან 199 585 კაცი გაუხდათ ავათ, რომელთაგან 43 985 კაცი მოკვდა, მაშინ, როცა იარაღმა 34,742 კაცი იმსხვერპლა. პარტახტიან ტიფს კიდევ „მშიერ ტიფს" ეძახიან. ძველად მთელს ევროპაში და რუსეთში ჩვენს დრომდე პარტახტიანი ტიფი აუცილებლად ჩნდებოდა და ეპიდემიურ ხასიათს იღებდა, როცა ხალხი მოუსავლობისა გამო შიმშილობდა. ასეთი მშიერი ტიფის ეპიდემიები მძვინვარებდნენ 1848 წელს ევროპაში 1816—18 წლებში იტალიაში, 1819, 1822, 1836—38, 1862—64 წლებში ირლანდიაში. და სხვადასხვა სახელმწიფოებში. რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში მშიერ ტიფის ეპიდემიები ყოველ წლივ იყო მოდებული ჯერ ისევ უკანასკნელ ომიანობამდე. ომიანობის დროს, როგორც შიდა რუსეთში, ისე ფრონტზე, პარტახტიანი ტიფი მუდამ იყო და დიდ ზარალს აყენებდა ხალხსაც და ჯარსაც. 1892 წ. რუსეთში პარტახტიანი ტიფის საშინელი დიდი ეპიდემია იყო გავრცელებული. უნდა ხაზი გაესვას შემდეგ ფაქტს—„მშიერი" ტიფი შედარებით „სამხედრო" ტიფთან სიკვდილიანობის მცირე პროცენტს იძლევა. პარტახტიან ტიფს „ციხის" ტიფსაც ეძახიან. პატიმრებით გავსებულ ციხეებში პარტახტიანი ტიფი საშინლად ვრცელდება და არავის ინდობს—მუსრს ავლებს პატიმართ და ციხეებში მოსამსახურეთ. პარტახტიანი ტიფი მარტო ციხეების სტუმარი არ არის. იქ, სადაც ხალხი სივიწროვით სცხოვრობს—ღარიბთა უბნებში, ყაზარმებში, გემებში, ღარიბთა საღამურ თავშესაფარ სახლებში და სხვაგან—ტიფი პირველად ჩნდება და იქიდან ვრცელდება ეპიდემიის სახით გარშემო სოფელ-ქალაქებში. ერთი სიტყვით, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ ფაქტს—ხალხის სივიწროვეში, შეზღუდულად ცხოვრება, რასაც ზედ ერთვის დიდი უსუფთაობა, სიბინძურე ტანისა და ბინისა—არის საუკეთესო ნიადაგი პარტახტიანი ტიფის—ეპიდემიის სახით—გავრცელებისა. პარტახტიანი ტიფის გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დროს. იგი ზამთრობით და გაზაფხულზე ძალიან ვრცელდება. პარტახტიანი ტიფი საშინელი სწრაფი გადამდები სენია. ამ თვისებით იგი არცერთ სხვა გადამდებ ავადმყოფობას არ ჩამოუვარდება. იშვიათია ის ოჯახი, სადაც ერთი წევრი გახდა ავად და მისგან ტიფი სხვას არავის გადაედო. პირიქით, ტიფს იხდის მთელი ოჯახი, იქიდან გადადის მეზობლებზე და ავად გამხდარის ოჯახის ნათესავებზე და ასე ამ თანდათანობის გზით ტიფი მთელს უბანს, სოფელს, ქალაქს, მაზრას და ხშირად გუბერნიას, სახელმწიფოს, მხარეს ედება და მუსრავს ხალხს. ტიფი პირველად გადადის მასზე, ვინც ავადმყოფს უვლის, ე. ი. ექიმებზე, ფერშლებზე, მოწყალების დებზე და სანიტარებზე. ამ გზით ავად გამხდარი სამედიცინო პერსონალი სიკვდილის ძალიან დიდს პროცენტს იძლევა. მაგ. 1848 წელს ირლანდიაში ტიფის ეპიდემიის დროს 335 გარდაცვლილ ექიმისაგან 199 ტიფით მოკვდა. 1878 წ. რუსეთში ერთ ჰოსპიტალში ტიფით ავად გახდა ექიმების 60%, მოწყალების დებისა 100 პროცენტი და სანიტარებისა 80 პროცენტი, პარტახტიანი ტიფის გამავრცელებელი უპირველესად ყოვლისა თვით ტიფით ავადმყოფი არის, მერე მისი ბინა, საცვალი, ტანისამოსი და ნივთები. თუ სადმე ტიფის სნებამ (სნება—зараза) დაიბუდა [illegible] ზოგჯერ წლობით ისაძლისებს. ტიფი [illegible] ცელებს კარგათ მყოფსაც. მაგ. ხშირად [illegible] შემთხვევით ტანისამოსით ტიფის სნება ოჯახში მიაქვს. ტიფის სნების გადადება გავრცელებას შესანიშნავი თვისება აქვს. ტიფის სნება აღარ ვრცელდება, თუ ავადმყოფი კარგ სანიტარულ პირობებში მოთავსდა. თუ ავადმყოფი ღარიბ ოჯახში ყველას სდებს სენს, იგივე ავადმყოფი გადაყვანილი კარგად მოწყობილ საავადმყოფოში ან კლინიკაში საშიში აღარავისათვის აღარ არის, თუნდაც იგი სხვა ავადმყოფებთან ერთ ოთახში მოთავსდეს. პარტახტიანი ტიფის სნება გადადის, ვრცელდება მხოლოდ ანტისანიტარულ პირობებში. რითი უნდა აიხსნას ტიფის სნების გადადების ჩამოთვლილი თვისებანი? იმით, რომ ავადმყოფის სისხლში მყოფი ტიფის სნება შეიძლება გადავიდეს კარგად მყოფზედ მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფის მოწამლული სისხლი შევა კარგათ მყოფის ტანში, ე. ი. მას ის სისხლი აეცრება. ტიფის სნებანი სისხლის კარგად მყოფისთვის აცრა კი შეუძლიანთ იმ მწერებს, რომლებიც ადამიანის სისხლით იკვებებიან. მაგ. კბენარს და ბაღლინჯოს. თუ ავადმყოფი ისეთ პირობებშია, რომ მის გარშემო და აგრეთვე მასზედ ყოველნაირი კბენარი მოსპობილია მაშინ ტიფის გადადება გავრცელება ყოვლად შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, თუ არ იქნება კბენარი და ბაღლინჯო, არ იქნება პარტახტიანი ტიფიც! დავიხსომოთ ეს კარგად!

მეცნიერმა ნიკოლმა აი რანაირი ფაქტებით დაამტკიცა ტანისამოსის კბენრის როლი პარტახტიანი ტიფის გადადებაში: ნიკოლმა პარტახტიანი ტიფი ადამიანისგან მაიმუნს აუცრა. მაიმუნი მალე გახდა ავად და ტიფის დამახასიათებელი პარტახტიც გამოაყარა. როცა ნიკოლი დარწმუნდა, რომ მაიმუნი ავად არის პარტახტიანი ტიფით, ავადმყოფ მაიმუნის ტანზედ ბალანში 29 კბენარი გადიტანა. სამი ოთხი დღის შემდეგ როცა კბენრებმა საკმარისად გამოსწოვეს ტიფიან მაიმუნს სისხლი, ნიკოლმა ავადმყოფ მაიმუნის სისხლ გამოწოვილი კბენრები ორ ჯანსაღ მაიმუნზედ გადასხა. ორთავე მაიმუნს სამი კვირის შემდეგ სიცხე მისცა, ტიფის დამახასიათებელი პარტახტი გამოაყარა და მალე ორთავენი ტიფისაგან დაიხოცნენ. ამ ფაქტმა ნიკოლიც და მასთან ერთად სხვებიც დაარწმუნა, რომ პარტახტიანი ტიფის სნება გადადის კარგად მყოფზედ ტანისამოსის კბენრის საშუალებით. ერთი სიტყვით კარგად დავიხსომოთ შემდეგი: თუ სადმე, როგორმე ტიფის სნებით კბენარი შემოგვაცოცდა, იგი უეჭველია ტიფს აგვიცრის.

## პარტიის წევრთა სავალდებულო მობილიზაცია

თანახმად თფილისის კომიტეტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებისა, კვირას, 2 თებერვალს ქალაქის საბჭოს არჩევნების დღეს პარტიის წევრნი ვალდებულნი არიან ფეხზე იდგნენ და აქტიურად ემსახურებოდნენ პარტიას. ამ მიზნით პარტიულ რაიონებში შაბათს 1 თებერვალს საღამოს 4 საათიდან ინიშნება პარტიის წევრთა საერთო კრებები. ყველა პარტიის წევრი ვალდებულია გამოცხადდეს თავიანთ კოლექტივის ბინაზე სამუშაო დირექტივების მისაღებათ. (3—1)

[illegible]

ქოებიც და საპარიკმახეროებიც ტიფის გადამდებ ადგილებათ უნდა ჩავთვალოთ. ეტლიც ხშირად გამხდარა მიზეზი ტიფის გადადებისა: ტიფით ავადმყოფი საბნებში გახვეული მიჰყავთ კერძო ეტლებით ბარაკებში. ადვილი შესაძლებელია ავადმყოფის ლოგინს კბენარი დასცვივდეს ეტლის საჯდომზედ. ვინც მერე ჩაჯდება ეტლში, თუ შეაცოცდება მას ავადმყოფების სნების მატარებელი კბენარი, რასაკვირველია, აუცრის ტიფს. საშინლად ავრცელებენ ტიფს ძველი, ნახმარი ტანისამოსით მოვაჭრეები.

რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ტიფი არ ვრცელდებოდეს?

როცა ტიფი ფართე ეპიდემიის ხასიათს იღებს, როგორც ამ ბოლო ხანს ჩვენში, საჩქაროდ უნდა იქმნას მიღებული სერიოზული ზომები მთავრობის და თვითმართველობების მხრივ. ტიფს მოსასპობათ შეერთებული ძალით აუცილებლივ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა განხორციელდეს შემდეგი: ხელ

ექიმი ლ. ლომოური.

(გაგრძელება იქნება)

მოქალაქენო!

ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალ-დემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალდემოკრატიამ შესძლო სომხეთთან ომის დროზე დაბოლოვება.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 26 იანვარს სახელოსნო სასწავლებლის შენობაში შესდგა მეოთხე სამ. უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ს. ირემაშვილი. დღის წესრიგში დასმული იყო არჩევნების ტეხნიკური მხარე. კრება ისმენს დასახელებულ უბნის სხვადასხვა კუთხეებიდან მოხსენებას ამრჩევლების სიების შესახებ. გამოირკვა, რომ არჩეულ პირებს, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ ამაზე ზრუნვა, მიუღიათ ყოველივე ღონე და შესაფერი შედეგებისათვის მიუღწევიათ. კრება საჭიროდ სცნობს მოწვეულ იქნას პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება, სადაც განმარტებულ უნდა იქნას საარჩევნო ჩვენი პლატფორმა. ასეთ კრებისთვის ნიშნავს ოთხშაბათს 29 იანვარს სახელოსნო სასწავლებლის შენობაში საღამოს 4 საათზე. ამ დღისათვის გამოცემული იქნება „ლეტუჩკები"—ორ ენაზე.

შემდეგ განცხადებას აკეთებს დამსწრე ამხანაგი ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში ავაზაკების გამრავლებას და შანტაჟისტური აქტების გახშირების შესახებ. კრება ყურადღებით ეპყრობა ამ განცხადებას და ირჩევს ორ ამხანაგს, რომელსაც ევალება აღძრან შუამდგომლობა ამის შესახებ სადაც ჯერ არს.

შემდეგ განცხადებას აკეთებს ამხ. 3. კახიძე დავით კოჩლამაზიშვილის შესახებ, რომელიც გაზ. „სოციალ-დემოკრატის" ნომერში გამოქვეყნებულ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საკანდიდატო სიაში იყო შეტანილი. ამხანაგი თხოულობს განმარტებას კოჩლამაზაშვილისაგან, რომელიც იქვე იყო კრებაზე. ამხ. კოჩლამაზაშვილი აღნიშნავს, რომ ის შეცდომაში შეიყვანა ატოევმა. ის ამბობს: ამხ. ატოევს ვიცნობდი მე, როგორც ჩვენ პარტიის წევრს. მოვიდა ის ჩემთან და მითხრა: ქალაქის ხმოს-

[illegible]

ვ. ხ.

## მუშათა შორის

სად. სამტრედია. 21 იანვარს სადგურ სამტრედიაში [illegible]

[illegible] დაადგინა გაგზავნილ იქნეს ამხანაგი ვანო მამისაშვილი ნავთლუღის მუშათა რაიონულ სექციაში, სადაც უნდა უთხოვოს ამავე სექციის გამგეობის თავმჯდომარეს, რათა მან გამოგზავნოს ხელმძღვანელი წევრი სექციისა, რომელიც გაარკვევს ორგანიზაციულ კითხვებს და ხელს შეუწყობს სად. სამტრედიის მუშამოსამსახურეთა ორგანიზაციული მუშაობის გაჩაღებას.

განიკო.

## პროვინცია

ლანჩხუთი. სანდრო ჰანტურაია არის დანიშნული კომისრათ სოფ. სუფსნაში. მიუხედავათ იმისა, რომ მის კომპეტენციაში სრულებით არ შედის სხვადასხვა ადგილების მართვა გამგეობა, ის მაინც არ ეშვება და ხელებს მაინც ლანჩხუთისაკენაც აპოტინებს. არა ერთხელ დაინახავთ მას თავის მილიციონერით ლანჩხუთთან მდებარე ტყეში დასეირნობს, რომ ვინმე ან გალახოს ან ძალმომრეობით აიძულოს ფულის გადახდა.

ამას წინათ გლეხი იოსებ ხელაძე, რომელიც ტყეში ხარებს ეძებდა, დაიჭირა და უმიზეზოთ სცემა. ასეთი მაგალითი არა ერთია. მეჯოგე მიხა ლაგვილავას წაართვეს ექვსი ცხენი და განუცხადეს, რომ საჭიროა მოწმობები. როდესაც მოწმობა წარუდგინეს, ჰანტურაიამ ქრთამი მოითხოვა ცხენში ასი მანეთი, მხოლოდ შემდეგ გახდა შესაძლო ცხენების უკან დაბრუნება. ამგვარი ფაქტებიც მრავალია. საჭიროა ბოლო მოეღოს ყოველივე ამას და სათანადო მთავრობამ მიაქციოს შესაფერი ყურადღება.

ზაქარია სარდალია.

## წერილი რედაქციის მიმართ

21 დეკემბერს სადგურ აზაგა-სერალში სომხების თავდასხმის დროს, ჩვენ, ქართული ჯარის კაცები, რომლებიც სადგურის „ახრანათ" ვიყავით, გამოვცვივდით ოთახიდან მტერთან შესაბრძოლებლად და ოთახი, სადაც გვქონდა როტის ბიბლიოთეკა უყურადღებოთ დარჩა. მერმე იქ სხვა ნაწილი შესულიყო. სხვათა შორის, იქვე დამრჩა საკუთარი ნაწერები, როგორც ლექსები, ისე მოთხრობები და უბის წიგნი დღიურებით. მე, რადგანაც დაჭრილი ვიყავი, უკან ვეღარ მოვბრუნდი. ვთხოვ იმ ნაწარმოების წამღებს, რადგანაც მისთვის არაფერი გამოსადეგია, დამიბრუნოს, რისთვისაც ჩემგან გულითად მადლობას მიიღებს.

ჩემი ადრესი: მე-4-ხე პოლკი მე-3 ტყვისმფრქვეველთა გუნდი პარმენ ლორია.

## ცნობები

ჯარისკაცი გერონტი მათეს ძე გოგიბერიძე მსახურებდა გერმანიის ფრონტზე. ორი წელიწადია მის შესახებ არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვთ გვაცნობონ ხიდისთავში (გურია) მათე გოგიბერიძეს.

— —

ჯარისკაცი სიმონ (გერმანე) სერგოს ძე ქავთარაძე მსახურებდა ქალ. ბაქურიანში სადგურ მოლითში. „Отдѣльный эскадронъ" სომხებთან ომის დროს ის გადაიყვანეს ახალციხის მიმართულებით ცოცხალია თუ მკვდარი არ ვიცით და თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ ან გაზეთით და ან წერილით. ქალ. თფილისი მე-2 თუმანოვის ქუჩა № 25 კალენიკე ცეცხლაძეს.


## განცხადებანი

ექიმი
### ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის ქუჩის ქ. № 3.

ექიმი
### დ. ვ. ჯაჯანიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სად. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიას ქ. № 41, ტელ. № 14—60.

[illegible]
### ექიმი დონხინისა
[illegible] ტელ. 5—96.

### კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორე საჯაიას ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

გახსნილია
### კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი
### ვ. ნ. ჩუპრინინი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი ქალი
### ე. ს. კარუკეს — გეგეჭკორი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მასამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ქალი
### რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი
რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
### გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
სასჯელებს უფასოდ.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
### მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი გ. ა. ზაზრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ფორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ქალი
### ვაინი
იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 3? ეზოში.

ექიმი შ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 ½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.


## საქართველოს მოქალაქეთა მიმართ

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არაჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადად დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევუდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არაჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავალის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არაჩვეულებრივ მოთხოვნილებათ რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკას ლიკვიდაცია იმით გამოწვეულ ხარჯებისა.

ამიტომ, საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდოდეს, სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არ მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რარიგ შეღავათიან პირობებშია ეგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ, ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არსებულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ, როგორც საწინდარი, ისე სხვადასხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით, ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობენ სესხის დაუყოვნებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებულია ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას; ისტორია ავად მოიხსენიებს იმათ, ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევა ეძლევა შეძლებულ პირებს, დაამტკიცონ თავისი მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათ საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმართველობანი, კოოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით განაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურცერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული.

10—5)


№ 22 კ. ი. ზუბალაშვილის ხახელობის ქალაქის **სახალხო სახლი** სახ. სახლთან არს. ქართ. წარმ. მმართველი წრე.

შაბათს, 1 თებერვალს 1919 წ. სახალხო სახლის სც. მოყვარეთაგან წარმოდგ. იქნება მეორედ

### —— დღენი ჩვენის ცხოვრებისა ——

რეჟისორი ი. ბარველი.

### სახელმწიფო თეატრი
(ოპერა)

შაბათს, 1 თებერვალს ო. ა. შუკინის ბენეფისი. შუკინას, ვესიოლოვზოროვის, ზალიბსკის, ვრონსკის, ინაშვილის, ნიკოლსკის, დემიანენკოს, ცხოვრის მონაწილეობით

### —— ბოჰემა ——

კვირას, 2 თებერვალს, დილით „რუსალკა", საღამოს „დემონი". დასაწყ. 7 საათზე.

### განცხადება

პირველ თებერვლიდან 1919 წლისა კახეთის რკინის გზის სადგურ წითელი-წყაროს მახლობლად გაიხსნა საკომისიო და საექსპედიციო კანტორა „ნდობა", რომელიც შეასრულებს ყოველგვარ საქმეებს, რაც ეხება საქონლის რკინის გზებით გადაზიდვა გადმოზიდვას.

მისამართი: სადგური წითელი, კანტორა „ნდობა" ივანე იოსელიანს.